

**ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლაშვილ სააღმწერდ-
ლო დაწესებულებათა ცენტრი“**

სატენდერო დოკუმენტაცია

**ბამარტივებული ელექტრონული ტენდერით საკანცელარიო
საქონლის შესყიდვაზე**

*წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
საქართველოს კანონის 12¹ მუხლის და „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით
განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სა-
გენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე*

ზუგდიდი, 2014 წელი

ს ა რ ჩ მ შ ო

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები	3
2. შესასყიდი საქონლის დასახელება, რაოდენობა და მიწოდების პირობები	4
3. ტექნიკური პირობები	4
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	5
5. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია	11
6. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ	11
7. დანართი №1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა	12
8. დანართი №2 ფასების ცხრილის ფორმა	14
9. დანართი №3 საბავშვო ბაღის მისამართები	15

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

1.1 ფიზიკური პირისათვის:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი.

***შენიშვნა(3):** რეზიდენტი ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემული უნდა იყოს ტენდერისათვის სტატუსის – „ტენდერი გომოცხადებულია“ მინიჭების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი ფიზიკური/იურიდიული პირის შემთხვევაში „ტენდერი გომოცხადებულია“ სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 30 დღისა.*

2. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემის წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე ან სისტემის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით.
3. პრეტენდენტს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები (ელექტრონული სახით) წარმოადგინოს სისტემის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, PDF ფორმატში, დასკანერებული. ამ შემთხვევაში საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს წარმოეშობა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.
4. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან საკვალიფიკაციო მონაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენლობა გამოიწვევს დისკვალიფიკაციას „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

**შესასყიდი საქონლის დასახელება, რაოდენობა
და მიწოდების პირობები**

კოდი	შესყიდვის ობიექტი	განზომილების ერთეული	რაოდენობა ან მოცულობა	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
2	3	4	5		
30197630	საოფისე ქაღალდი A-4 80გრ	შეკვრა	230		
30197620	საწერი ქაღალდი A-200გ	შეკვრა	270		
22851000	ბაინდერი (სქელი)	ცალი	50		
22851000	ბაინდერი (თხელი)	ცალი	60		
30192123	ბურთულიანი კალამი	ცალი	800		
30192130	ფანქარი საშლელით უბრ	ცალი	75		
30192160	კორექტორი კალამი 140	ცალი	60		
24910000	წებო მშრალი	ცალი	350		
24910000	წებო თხევადი	ცალი	210		
30194300	სახაზავი (სხვადასხვა)	ცალი	50		
30191100	სწრაფჩამკერი მუყაოს	ცალი	350		
22852100	ფაილები	შეკვრა	200		
30199730	ჩასანიშნი ქაღალდი	ცალი	50		
22816300	ჩასანიშნი ქაღალდის წებო	ცალი	40		
30197120	სტეპლერი	ცალი	15		
30197100	სტეპლერის კავი №24	ცალი	200		
30125100	კატრიჯის დატუმბვა	ცალი	50		
22813000	საბუღალტრო წიგნი	ცალი	5		
22800000	საკანცელარიო წიგნი	ცალი	20		
22800000	მიმდინარე ანგ. წიგნი	ცალი	150		
30192100	ბრ. უწყისები	ცალი	300		
22800000	მემორიალური ორდერი	ცალი	150		
37823600	სახატავი რვეული	ცალი	1850		
30141200	კალკულატორი	ცალი	20		
30230600	კარტრიჯი 725 Starter	ცალი	6		
30230600	კატრიჯი Q 2612A	ცალი	7		
30230600	კატრიჯი CE 285A	ცალი	5		
30230600	კატრიჯი EP	ცალი	4		
30230600	კატრიჯი CE 435A	ცალი	5		
30197220	სამაგრი (სკრები)	ცალი	20		

ეტაპობრივად მოთხოვნიდან 1 დღეში 2014 წლის 31 დეკემბრამდე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქისა და სოფლის სკოლამდელი დაწესებულების 59 ობიექტი

30199000	ფერადი ქაღალდები	შეკვრა	280	<i>ვტაპობრივად მოთხოვნიდან 1 დღეში 2014წლის 31 დეკემბ- რამდე</i>	<i>ზუგდიდის მუნი- ციპალიტეტის ქალაქისა და სოფლის სკო- ლამდელი დაწე- სებულების 59 ობიექტი</i>
30192130	ფერადი ფანქრები	ცალი	280		
24952000	საძერწი 6 ნაჭრიანი	ცალი	980		
22800000	აღრიცხვის ჯურნალი	ცალი	120		
30192133	ფანქრის სათლელი	ცალი	10		
22800000	ქსეროასლის გადაღება	ცალი	29400		
30192125	ტექსტ. მარკერი საოფისე წით	ცალი	30		
30192125	ტექსტ. მარკერი საოფისე ყვით.	ცალი	30		
22800000	ფორმატი	ცალი	10		
30195920	მაგნიტური დაფა 40X60	ცალი	6		
37400000	სპორტული პრიზები	ცალი	9		

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(კ რ ო ე ქ ტ ი)

ქ. ზუგდიდი

„----“ „-----“ 2014 წელი.

ერთის მხრივ, ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მარინა კვიციანიას სახით და მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ----- -- სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების“ საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ----- (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი“) შესყიდვა, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 ხელშეკრულების ობიექტი მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულება (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის, ტრანსპორტირების და სხვ. ხარჯების გათვალისწინებით) შეადგენს ----- (-----) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამოდეს ტექნიკურ პირობებით გათვალისწინებულ სტანდარტებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

- 5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება მიმწოდებლის მიერ განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან მოთხოვნის შესაბამისად ----- კალენდარული დღის განმავლობაში.
- 5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისთვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 6.2 ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.
- 6.3 მიღება-ჩაბარება მოხდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

- 7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღლო აგარიშსწორებით, მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.
- 7.2 ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი სასაქონლო ზედნაღებისა (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი) და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი ვალდებულია:

- 8.1.1 უზრუნველყოს მისთვის გადაცემული შესყიდვის ობიექტის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;
- 8.1.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთანავე, გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

- 8.2.1 მიმწოდებლისგან მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ობიექტის, ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება;

- 8.2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;
- 8.2.3 თვით ან მოწვეული ექსპერტების მეშვეობით, დაუბრკოლებლივ განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შემოწმება;
- 8.2.4 მიმწოდებლისგან მოითხოვოს შესყიდვის ობიექტის გადაცემის შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
- 8.3 **მიმწოდებელი ვალდებულია:**
- 8.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;
- 8.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველს წარუდგინოს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;
- 8.3.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი შესყიდვის ობიექტის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა;
- 8.3.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდგენაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტით;
- 8.3.5 დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;
- 8.3.6 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს შემსყიდველს შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

8.4 **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

- 8.4.1 შემსყიდველისგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

9. უფლებების გადაცემა

- 9.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

- 9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 9.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
- 11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
- 11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. შეტყობინება

- 12.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.
- 12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
- 13.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 14.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულებების შეუსრულებლობის მომენტიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ დამრღვევი მხარე პირგასამტეხლოს სახით გადახდის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში არ გადაიხდის პირგასამტეხლოს, მას დამატებით დაეკისრება ჯარიმა ყოველ გადაგადაცილებულ დღისათვის პირგასამტეხლოს თანხის 0,15%-ის ოდენობით.
- 14.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- 14.3 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

- 15.1 ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.
- 15.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.
- 15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ფორს-მაჟორი

- 16.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
- 16.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
- 16.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

17. დავების გადაწყვეტის წესი

- 17.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
- 17.1 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

- 18.1 „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
- 18.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: -----.
- 18.3 ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.
- 18.4 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული „შესყიდვის ობიექტის“ ხარისხის, რაოდენობის, შენახვის და მიწოდების ვადების კონტროლი.
- 18.5 „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შესყიდვის ობიექტის“ მიწოდების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელიშეშეშული

პირობები და წარუდგინოს „შესყიდვის ობიექტის“ მიწოდებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

19. დასაკვირვებელი დეტალები

- 19.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
- 19.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
- 19.3 მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
- 19.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
- 19.5 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.
- 19.6 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2014 წლის
- 19.7 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

20. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“
 საიდენტიფიკაციო კოდი 220406273
 მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის №87
 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“-ს
 სამეგრელოს რეგიონალური ფილიალი
 ბანკის კოდი 220101464
 ანგ. № GE86LB0115124334927000

ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი“-ს
 დირექტორის მ/შ:

ხელმოწერა:

/მ. კვიციანი/

2. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია

1. სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების დაფინანსების წყარო: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრები.
2. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:
 - ფასების ცხრილის შევსებულ ფორმას (დანართი №2-ის შესაბამისად);
 - მისაწოდებელი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრულ აღწერილობას;
3. 4.2 პუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოადგენს პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას, რომელიც უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების შეთავაზებისას.
4. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
3. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის, ტრანსპორტირების და სხვ. ხარჯების გათვალისწინებით.
4. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა უნდა შეადგენდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადების წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
5. წინასწარ გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.
6. სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

შენიშვნა (1): პრეტენდენტი აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობით ავტომატურად ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია სატენდერო დოკუმენტაცია და ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.

შენიშვნა (2): პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტები და ინფორმაცია უნდა იყოს სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული.

სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ

1. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ინგა შეროზია - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №87, მე-4 სართული, მე-2 ოთახი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი, საკონტაქტო ტელეფონი: 0 (415) 25-02-79.

ს ა ზ ი დ ა ვ ი ტ ი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

მე, ქვემოთ ხელმოწერი: _____
(სახელი, გვარი, პ/ნ)

_____ სახელით,
(პრეტენდენტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

წარვუდგენ რა სატენდერო წინადადებას _____

_____ (შემსყიდველი ორგანიზაცია და სატენდერო კომისიის დასახელება)

მის მიერ _____

_____ (ტენდერის გამოცხადების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეების მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისაგან დამოუკიდებლად, ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
3. ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
4. ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;
5. მატერიალური გამოჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება სემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - ა) სატენდერო წინადადების ფასი;
 - ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
 - გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;

- დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
 - ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;
6. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯარობის მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შენაარს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას

(პრეტენდენტის რეკვიზიტები)

(პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

(თარიღი)

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი პრეტენდენტის სახელით ადასტურებს დოკუმენტში მითითებულ ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

ფასების ცხრილი

(პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი შემდეგი ფორმის შესაბამისად)

პრეტენდენტის დასახელება _____

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
					<p>ეტაპობრივად მოთხოვნიდან 1 დღეში 2014 წლის 31 დეკემბრამდე</p>	<p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქისა და სოფლის სკოლამდელი დაწესებულების 59 ობიექტი</p>

წინამდებარე სატენდერო წინადადება ძალაშია დღის განმავლობაში, მისი წარდგენის დღიდან.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

შენიშვნა (1): პროდუქციის ერთეულის ფასსა და საერთო ფასს შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პროდუქციის ერთეულის ფასს.

შენიშვნა (2): გამარჯვებულ პრეტენდენტს დამატებით მოეთხოვება მის მიერ ვაჭრობის დამატებითი რაუნდების შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის შესაბამისი განფასება, ზემოთ ნაჩვენები ფორმის შესაბამისად.

შენიშვნა (3): სატენდერო წინადადების ფასი უნდა მოიცავდეს მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

**საბავშვო ბაღების მისამართები
ქალაქის ტერიტორიაზე**

<i>რიგითი №</i>	<i>საბავშვო ბაღის ნომერი</i>	<i>მისამართი</i>
1	№1	ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას ქ. №25
2	№2	ქ. ზუგდიდი, ბერიას ქ. №4
3	№3	ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას ქ. №87
4	№4	ქ. ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზ. №7
5	№5	ქ. ზუგდიდი, მირცხულავას ქ. №186
6	№6	ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. №186
7	№7	ქ. ზუგდიდი, წერეთლის ქ. 8
8	№8	ქ. ზუგდიდი, ლუტუ მგერელის ქ. 8
9	№9	ქ. ზუგდიდი, ეგრისის ქ. №10
10	№10	ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №177
11	№11	ქ. ზუგდიდი, გოროზიას ქ. №19
12	№12	ქ. ზუგდიდი, ი.ქ.კ. ჯანაშიას ქ. №2
13	№13	ქ. ზუგდიდი, თბილისი ქ. №43
14	№14	ქ. ზუგდიდი, თავისუფლების I-შესახ. №5
15	№15	ქ. ზუგდიდი, თავისუფლების ქ. 80
16	№16	ქ. ზუგდიდი, დეკაბრისტების ქ. №15

**საბავშვო ბაღების მისამართები
ზუბიდიის მუნიციპალიტეტის სოფლის ტერიტორიაზე**

<i>რიგითი №</i>	<i>საბავშვო ბაღის დასახელება</i>	<i>მისამართი</i>
1	აბასთუმნის საბავშვო ბაღი	სოფელი აბასთუმანი
2	ახალაბასთუმანი საბავშვო ბაღი	სოფელი ახალაბასთუმანი
3	ახალკახათი საბავშვო ბაღი	სოფელი ახალკახათი
4	ახალსოფლის საბავშვო ბაღი	სოფელი ახალსოფელი
5	ბაშის საბავშვო ბაღი	სოფელი ბაში
6	გრიგოლიშის საბავშვო ბაღი	სოფელი გრიგოლიში
7	დარჩელის საბავშვო ბაღი	სოფელი დარჩელი
8	დიდინების საბავშვო ბაღი	სოფელი დიდინები
9	ერგეტას საბავშვო ბაღი	სოფელი ეგეტა
10	ზედაეწერის საბავშვო ბაღი	სოფელი ზედაეწერი
11	ინგირის №1 საბავშვო ბაღი	სოფელი ინგირი
12	ინგირის №2 საბავშვო ბაღი	სოფელი ინგირი
13	ინგირის №3 (წითელქუდა) საბავშვო ბაღი	სოფელი ინგირი
14	კახათის საბავშვო ბაღი (რწმენა)	სოფელი კახათი
15	ქვემოკახათის საბავშვო ბაღი	სოფელი კახათი
16	კოკის საბავშვო ბაღი	სოფელი კოკი
17	კორცხელის საბავშვო ბაღი	სოფელი კორცხელი
18	ნარაზენის №1 საბავშვო ბაღი	სოფელი ნარაზენი
19	ნარაზენის №2 საბავშვო ბაღი	სოფელი ნარაზენი
20	ოდიშის №1 საბავშვო ბაღი	სოფელი ოდიში
21	ოდიშის №2 საბავშვო ბაღი	სოფელი ოდიში
22	ოირემეს საბავშვო ბაღი,	სოფელი ოირემე
23	ორულუს საბავშვო ბაღი,	სოფელი ორულუ
24	ოქტომბერის საბავშვო ბაღი	სოფელი ოქტომბერი
25	ყულიშკარის საბავშვო ბაღი	სოფელი ყულიშკარი
26	ორსანტიის საბავშვო ბაღი	სოფელი ორსანტია
27	ნაცატუს საბავშვო ბაღი	სოფელი ნაცატუ
28	რიყის საბავშვო ბაღი	სოფელი რიყე
29	რუხის საბავშვო ბაღი	სოფელი რუხი
30	ტყაის საბავშვო ბაღი	სოფელი ტყაია
31	შამგონის საბავშვო ბაღი	სოფელი შამგონა
32	ჩხორიას საბავშვო ბაღი	სოფელი ჩხორია
33	ცაიშის საბავშვო ბაღი	სოფელი ცაიში
34	ჭაქვინჯის საბავშვო ბაღი	სოფელი ჭაქვინჯი
35	ჭკადუაშის საბავშვო ბაღი	სოფელი ჭკადუაში
36	ჭითაწყარის საბავშვო ბაღი	სოფელი ჭითაწყარი
37	ანაკლიის საბავშვო ბაღი	სოფელი ანაკლია
38	ჯუმის საბავშვო ბაღი	სოფელი ახალსოფელი
39	ჯინაშკარის საბავშვო ბაღი	სოფელი ჯინაშკარი
40	ხურჩის საბავშვო ბაღი	სოფელი ხურჩა
41	ბალამარანის საბავშვო ბაღი	სოფელი ბალმარანი
42	ურთის საბავშვო ბაღი	სოფელი ურთა

43	განმუხურის საბავშვო ბაღი	სოფელი განმუხური
----	--------------------------	------------------